ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**№48. 482605815**

თარიღი:**27/02/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2027 – 2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლებისა და მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2027 - 2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლებისა და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი №1 - ის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2027 - 2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება / განახლების, 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი №2 - ის შესაბამისად;

3. დამტკიცდეს საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები მე-3 - მე-6 დანართების შესაბამისად.

4. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დანერგვის მიზნით შესაბამისი სამსახურების მიერ უზრუნველყოფილი იქნას განსახორციელებელი პროგრამების / ქვეპროგრამების იდენტიფიცირება გენდერულ ჭრილში აღნიშნულის პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში ასახვის მიზნით;

5. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების SDG 2030 ლოკალიზების უზრუნველყოფის მიზნით ბიუჯეტის ფორმირების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას განსახორციელებელი პროგრამების / ქვეპროგრამების იდენტიფიცირება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში, ბიუჯეტსა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში ასახვის მიზნით;

6. საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის / ქვეპროგრამის განმახორციელებლებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად შესაბამისი საბიუჯეტო დოკუმენტების / ფორმების მიწოდება.

7. ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია განახორციელოს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა;

8. ბრძანება თავისი დანართებით გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

9. ბრძანება ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი